№ 125 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

უოველდღიური გაზეთი

წელიწადი მესამე

ფასი 3 მან. სამშაბათი, ივნისის 8 1920 წ.

მთავრობის მოამბე, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—8.

მომხმარებელი საზოგადოება ტფილისის კოოპერატივი

ამით აცხადებს თავის წევრთა საყურადღებოთ, რომ კვირას 13 ივნისს დილის 10 საათზე „ტფილისის წრის“ ბინაზე (კირკის ქუჩა, ვერის ხიდის ახლოს) დანიშნულია წლიური საზოგადო კრება.

განსახილველი საგნებია: 1. 1919 წ. ანგარიში. 2) 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი. 3) პაის გადიდება. 4) გამგეობის და სარევიზიო კომისიის გასულ წევრთა სამაგიეროს არჩევა, 5) მიმდინარე საკითხები.

იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულ ვადაზე არ გამოცხადდება წევრთა კანონიერი რიცხვი, მეორე კრება, საზოგადოების წესდების მე-32 მუხლის თანახმათ, გაიმართება იქვე, იმავე დღეს დილ. 11 ს. და ჩაითვლება კანონიერათ, მიუხედავად დამსწეთა რაოდენობისა.

ყოველი წევრი ვალდებულია წარმოადგინოს კრების დღემდე მათზე დარჩენილი ფული სრული პაიმდე (40 მ.) წინააღმდეგ შემთხვევაში, წესდების მე-16 მუხლის 1 შენიშვნის ძალით მათ ეკარგებათ კრებაზე ხმის უფლება. კრებაზე შესასვლელათ საჭიროა საწევრო წიგნაკების წარმოდგენა. 1370 2—1

კახეთის რკინის გზის საზოგადოების გამგეობა

აუწყებს საზოგადოების $4^1/_2$% ობლიგაციების პატრონთ, 1920 წლ. პირველ თიბათვეს ტირაჟში გავიდენ შემდეგი ნომრები 1912 წ. საერთო ჯამით 1,400,000 გირ. სტერლ. გამოცემული ობლიგაციებისა:

25 ობლიგაცია თითო ოცი გირვ. სტერლ.=189 მან, ლიტ. A №№ 00081, 00290, 013000, 02026, 02233, 05669, 06274, 07259, 07643, 08117, 08691, 09280, 09536. 10174, 12681, 14280, 14924, 14933, 14984, 15076, 15680, 16255, 17527, 19122, 19366,

7. ობლიგაცია თითო 100 გირვ. სტერლ.=945 მან. ლიტ. B. №№ 20414, 21249, 22661, 24618, 25803, 25888, 27892.

2 ობლიგაცია თითო 500 გირვ. სტერლ.= 4.725 მან. ლიტ. C №№ 28655. 28710.

ამ ტირაჟში გასული ობლიგაციები უნდა წარმოდგენილნი იყვნენ გამოსასყიდლად ყველა იმ კუპონებით, რომელთაც ვადა გასდით 1920 წლის 1 სექტემბრის შემდეგ; წინაალმდეგ შემთხვევაში დაკლებულ კუპონების თანხა დაჭერილი იქნება იმ თანხიდან, რომელიც საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს ობლიგაციის გამოსასყიდლად.

ამასთანავე გამგეობა აცხადებს აგრეთვე იმ ობლიგაციების ნომრებს, რომელნიც გავიდენ ტირაჟში 1916, 1917, 1918 და 1919 წლებში, მაგრამ აქნამდის წარმოდგენილნი არ არიან გამოსასყიდლად:

20 გირვ. სტერლ.=189 მან. ლიტ. A №№ 00414, 00713, 00883, 01069, 01494, 01793, 01965, 2023, 02107, 02417, 2840, 02843, 02966, 03299, 03325, 3439, 3856, 3654, 4521, 04593, 4903, 05137, 05465, 05652, 05803, 06319, 6540, 6643, 06807. 07335, 8165, 08220, 08376, 08385, 9011, 09016, 9543, 9816, 10246, 10585, 10636, 10805, 11159, 11210, 11285, 11531, 11561, 11751, 12012, 12013, 13015, 13329, 14080, 14161, 14174, 14644, 15485, 15624, 16006, 16300, 16325, 16303, 16703, 16779, 16962, 17195, 17402, 17412, 17466, 17517, 17999, 18059, 18071, 18117, 18389, 18416, 18436, 18444, 18451, 18454, 18644, 1874, 18735, 18740, 18763, 18806, 18972, 19361.

100 გირვ. სტერლ- = 945 მან. ლიტ. B №№ 20513, 20753, 21572, 21600, 21989, 22181, 22186, 23028, 23287, 23709, 24072, 24098, 24194, 24361, 24416, 25414, 25547, 26457, 26839, 27637.

500 გირვ. სტერლ. 4725 მან. ლიტ. C №№ 28513, 28537, 28556, 28575, 28639, 28666, 28776, 28796. 617 1—1

1920 წლის 1 მაისიდან დაიკარგა

ბახვის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის ბეჭედი.

რომელიც განზრახ არის წაღებული. ამიტომ ყოველივე ბოროტების თავიდან ასაცილებლად, ვაცხადებ, რომ დაკარგული ბეჭდიო 1920 წლის 1 მაისიდან წარმოდგენილი ყოველივე საბუთები და ქაღალდები ყალბათ უნდა ჩაითვალოს. დაკარგული ბეჭედი იყო ულერბო ასეთი წარწერით: „ბახვის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი“. ახალი ბეჭედი იქნება იმავე წარწერით, გარშემო და შუაზე სახელმწიფო ღერბით. 626 1—1

ოფიციალური განყოფილება

დეკრეტი

საბაჟო დაწესებულებათა საკანცელარიო გადასახადის ახალი ნიხრის დაწესებისა.

1. 1918 წ. ნოემბრის 12 კანონით მიღებული საბაჟო დაწესებულებათა საკანცელარიო გადასახადის ნაცვლად დამტკიცებულ იქნეს ამ დეკრეტთან დართული საკანცელარიო გადასახადის ახალი ნიხრი.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მაისის 28.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

ნიხრი.

საბაჟო დაწესებულებათა საკანცელარიო გადასახადისა.

№№ რიგზე.	საბუთების სახელწოდება.	გადასახადის რაოდენობა. მან.	კ.
1	ყოველი წერილობითი განცხადებისა, შემოსატან-გასატანი საქონლის სიისთვის უნდა გადახდილ იქნეს ყოველ ას მანეთზე.	5 [1])	—
2	საზღვარ-გარეთ გასატანი საქონლის სიისთვის, თუ გასატანი საქონელი განთავისუფლებულია ბაჟისაგან, საქონლის განცხადებული ფასის ყოველ ათას მანეთზე, ან ნაკლებზე	5	—
3	ყოველი იარლიკისა და წერილობითი ბრძანებისათვის, რომლითაც საქონლის გატანა საწყობიდან ნება დართული იქნება, ან გადასატანის მოწმობისა და იარლიკისათვის, რომელიც საქონელთან უნდა გაჰყვეს სხვაგან	25	—
4	ბაჟისა და სხვა გადასახადის კვიტანციისათვის	25	—
5	ყოველი ქაღალდის პირისათვის კერძო პირს და საზოგადოებას გადაჰხდება თითო ფურცლისათვის, რომლის გვერდი უნდა შეიცავდეს არა უმეტეს 25 სტრიქონისა.	25 [2])	—

[1]) ყოველ არა სრულ ას მანეთზე უნდა გადახდილ იქნეს ხუთი მანეთი.

[2]) ყოველი საბუთი, დასახელებული 1, 3 და 4 მუხ. საქონლის ბაჟი თუ 15 მან. ნაკლებია, განთავისუფლებულია საკანცელარიო გადასახადისაგან.

1920 წ. მაისის 28-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი**

დეკრეტი

საქართველოს დეპეშათა სააგენტოს შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.

1. დამტკიცებულ იქნეს ამა 1920 წლის მარტის 1-დან ამ დეკრეტთან დართული საქართველოს დეპეშათა სააგენტოს შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული დეპეშათა სააგენტოს შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის ამა 1920 წ. მარტის 1-დან ივნისის 1-დე ორას სამოცდაცხრა ათას ას ოცდა ათი (269.130) მანეთი.

3. ამ დეკრეტით დამტკიცებულ დეპეშათა სააგენტოს შტატზე გავრცელებულ იქნეს დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის თებერვლის 10-ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ივნისის 1.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა

საქართველოს დეპეშათა სააგენტოსი.

№№ რიგზე.	თანამდებობისა და ხარჯის სახელწოდება.	რიცხვი თანამდ. პირთა.	თვითეულს თვეში-დ.	ყველას თვეში-რად.	ყველას 1920 წ. მარტის 1-დან ივნისის 1-დე.
1	სააგენტოს დირექტორი	1	5000	5000	15000
2	დირექტორის პირველი ამხანაგი (მთავარი დირექტორი)	1	4000	4000	12000
3	დირექტორის მეორე ამხანაგი (სააგენტოს სამეურნეო ნაწილის ხელმძღვანელი) . .	1	4000	4000	12000
4	პარლამენტის სხდომების ანგარიშის მწარმოებელი	1	3500	3500	10500
5	ადგილობრივი ქრონიკის გამგე-ხელმძღვანელი	1	3000	3000	9000
6	მთარგმნელი ქართული განყოფილებისათვის (უფროსი)	1	4000	4000	12000
7	მისი თანაშემწე.	1	3000	3000	9000
8	მთარგმნელი უცხო ენებისაგან	2	4000	8000	24000
9	მანქანით გადამწერი (რუსულ და ქართულ ენაზე)	5	1400	7000	21000
10	რონეოს მანქანაზე მომუშავე სპეციალისტი .	1	2300	2300	6900
11	დაბალი მოსამსახურე (მსახური და დამტარებელი	2	1225	2450	7350
	ჯამი	17	35425	46250	138750
12	ჰონორარი სააგენტოს თანამშრომელთ (რადიო-ტელეგრაფში და სხვა)	—	—	20000	60000
13	სხვა და სხვა საბეჭდავი მასალა (ქაღალდი, საღებავი, გადასაღები, მანქანის ლენტები, ბენზინი, ეთერი, კოლოდიუმი, ეზოტინი და სხვა)	—	—	14240	42720
14	საკანცელარიო საგნები	—	—	200	600
15	ბინის ქირა	—	—	500	1500
16	გათბობა და განათება	—	—	1220	3660
17	ტელეფონის გადასახადი	—	—	600	1800
18	სხვა და სხვა საოჯახო ხარჯი (მანქანების შეკეთება და სხვა)	—	—	700	2100
19	სააგენტოს თანამშრომელთ დეპეშების გადმოცემისათვის გასამრჯელო	—	—	6000	18000
	ჯამი . .	—	—	43460	130380
	სულ . .	17	35425	89710	269130

1920 წ. ივნისის 1-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

საქართველოს და რუსეთის შორის დადებული ხელშეკრულება

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ერთის მხრით, და რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულმა საბჭოთა რესპუბლიკამ მეორე მხრით, ხელმძღვანელობდნენ რა საერთო სურვილით დაამყარონ ორივე ქვეყნის შორის მტკიცე და მშვიდობიანი ურთიერთობა—ხსენებულ ქვეყნების მცხოვრებთა საკეთილდღეოდ, გადასწყვიტეს შეკრან ამ მიზნით განსაკუთრებული ხელშეკრულება და დანიშნეს თავის რწმუნებულად: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძე და რუსეთის სოციალისტურმა ფედერატიულმა საბჭოთა მთავრობამ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ლევ მიხეილის ძე კარახანი. ხსენებულმა რწმუნებულებმა აცნობეს რა ერთმანეთს თავის რწმუნებულების შესახებ, რომელიც აძლევდა მათ აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის უფლებას, შეთანხმებულ ქვემომოყვანილ მუხლებში:

მუხლი I.

გამოდის რა რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მიერ ყველა ერთა თავისუფალ თვითგამორკვევის უფლების აღიარებიდან სრულ გამოყოფის უფლებამდე იმ სახელმწიფოებიდან, რომლის შემადგენლობაშიც ეს ერები შედიან რუსეთი ყოველ პირობის გარეშე სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, და თავისუფლებას და თავის ნებით იღებს ხელს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს ხალხსა და ქვეყნის მიმართ.

მუხლი II.

გამოდის რა ხსენებულ ხელშეკრულების მუხლში აღიარებულ პრინციპებიდან, რუსეთი ვალდებულად ხდის თავს ხელი აიღოს საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე.

მუხლი III.

1) სახელმწიფო საზღვარი საქართველოს და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე პსოუს გასწვრივ ასახჩის მთამდე, გადადის ხსენებულ ასახჩისა და აგაპეტის მთაზე და მიდის ყოფილ შავი ზღვის, ქუთაისის და ტფილისის გუბერნიების ჩრდილოეთის საზღვრით ზაქათალის ოლქამდე და ხსენებულ ოლქის აღმოსავლეთ საზღვრით მიდის სომხეთის საზღვრებამდე.

2) ყველა უღელტეხილი, მდებარე აღნიშნულ მოსაზღვრე ხაზზე 1922 წ. პირველ იანვრამდე ნეიტრალურად არის აღიარებული. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება დაიკავოს ეს უღელტეხილები თავის ჯარებით ან და გაამაგროს ისინი.

3) დარიალის უღელტეხილზე, ამ მუხლის მეორე პუნქტში აღნიშნული ნეიტრალიზაცია გავრცელდება ბალთიდან კობამდე, მამისონის უღელტეხილზე ზარამაგიდან ონამდე, და ყველა სხვა უღელტეხილებზე ხუთი ვერსის მანძილზე ორივე მხრით აღებული იმ პუნქტიდან, სადაც საზღვარი გადის.

4) სახელმწიფო საზღვარის სწორ გაყვანას ორ ხელშემკვრელ მხარის შორის მოახდენს განსაკუთრებული მოსაზღვრე შერეული კომისია, რომელშიაც შევა ერთნაირი რიცხვი ორივე მხრიდან. ხსენებული კომისიის მუშაობის შედეგი დამტკიცებული იქნება ორივე ხელშემკვრელ მხარის შორის დადებულ განსაკუთრებული ხელშეკრულებით.

მუხლი IV.

1) რუსეთი ვალდებულია აღიაროს საქართველოს რესპუბლიკის უდავო შემადგენელ ნაწილებათ გარდა შავი ზღვის გუბერნიის ნაწილებისა, რომელნიც გადადის საქართველოს საზღვრებში ხსენებულ ხელშეკრულების პირველ და მესამე მუხლების ძალით, აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი გუბერნიები და რუსეთის სახელმწიფოს ყოფილი ოლქები: ტფილისის, ქუთაისის და ბათომის ყველა მაზრებით და ოლქებით, რომლებიც შეადგენენ ხსენებულ გუბერნიებს და აგრეთვე ზაქათალის და სოხუმის ოლქები.

2) შემდეგში, ურთიერთობის თანდათანობითი გამორკვევის მიხედვით საქართველოს და რუსეთს გარდა სხვა სახელმწიფო ერთეულებს შორის, რომელნიც არსებობენ ან შესაძლებელია შეიქმნენ საქართველოს სხვა საზღვრებთან გარდა იმისა, რომელიც აწერილია ხსენებულ ხელშეკრულების მესამე მუხლში, რუსეთი მზათ იქნება იცნოს საქართველოს შემადგენელ ნაწილად ყოფილ კავკასიის სანამესტნიკოს ესა თუ ის ნაწილი, რომელიც გადავა მის ხელში ან სახელმწიფო ერთეულებთან დადებულ ხელშეკრულების ძალით.

მუხლი V.

აღიარებს რა სამართლიანად რუსეთის მოთხოვნილებას, რომ არ იქნეს დაშვებული შემდეგში საქართველოს ტერიტორიაზე რაიმე სამხედრო ოპერაცია, არსებობა სამხედრო ძალათა და სხვა მოქმედებათა, რომელთაც შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიაზე შექნან პირობანი დამუქრებისა რუსეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ან და საქართველოს ტერიტორიას გახდის სამხედრო ოპერაციების ბაზად, რომელიც მიმართული იქნება რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ან მასთან კავშირში მყოფ სახელმწიფოს და მასში არსებულ სახელმწიფოებრივ წესწყობილების წინააღმდეგ, საქართველო ვალდებულად ხდის თავს მოახდინოს:

1) დაუყონებლივი განიარაღება და კონცენტრაციულ ბანაკებში მოთავსება ამა საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერის დროს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფთა, თუ კი ასეთები აღმოჩნდებიან, ან სამხედრო და საზღვაო—სამხედრო ნაწილების, კომანდებისა და ჯგუფების, რომელნიც მომავალში შესაძლოა მის საზღვრებში გადავიდენ და რომელნიც რუსეთის მთავრობის პრეტენდენტის როლში გამოვლენ, აგრეთვე წარმომადგენლობისა და თანამდებობის პირთა, ორგანიზაციებისა და ჯგუფებისა, რომელთაც მიზნათ ექნებათ რუსეთის, ან მოკავშირე სახელმწიფოთა, მთავრობის ძირს ჩამოგდება.

2) დაუყოვნებლივი განიარაღება და დაკავება საქართველოს ნავთსადგურებში მყოფ გემებისა, რომელიც შედის ამა მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ორგანიზაციებისა და ჯგუფების საზღვაო სამხედრო ძალთა შემადგენლობაში და აგრეთვე, რომელიც ამა თუ იმ მოსაზრებით ამ ორგანიზაციების და ჯგუფების განკარგულებაშია და საქართველოს ნავთსადგურებში იმყოფება. ამ გემების ეკიპაჟის მიმართ სავსებით უნდა განხორციელდეს ამა მუხლის პირველი პუნქტის დადგენილება.

3) ყოველგვარ ჯილდოს მოუთხოვნელად და სრულებით უფასოდ გადაეცეს რუსეთს ყველა სამხედრო და საზღვაო სამხედრო ქონება, ღორებულებანი და ფულის თანხები, რომელნიც ამა მუხლის პირველ მუხლში აღნიშნულ ორგანიზაციათა და ჯგუფების მფლობელობასა, სარგებლობასა და განკარგულებაში იმყოფება. ამ მუხლის თანახმად სამხედრო და საზღვაო სამხედრო ქონებათ იგულისხმება: გემები და სხვა სანაოსნო საშუალებანი და არტილერიის, საინტენდანტოს (მათ შორის სასურსათო და ნივთიერი დაკმაყოფილების) საინჟენერო და საავიაციო მოწყობილებანი.

4) განიარაღების შემდეგ გადაეცეს რუსეთს ამა მუხლის პირველ მუხლში აღნიშნული ნაწილები, ორგანიზაციები, ჯგუფები და გემების ეკიპაჟი.

შენიშვნა: რუსეთი პირობას იძლევა, რომ იგი ამ მუხლის ძალით გადაცემულ ყველა პირს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს.

5) მიიღოს ზომები და განდევნოს საქართველოს ტერიტორიის საზღვრებიდან, რომელიც ამ ხელშეკრულების მეოთხე მუხლით არის განსაზღვრული, ყოველგვარი ჯარი და სამხედრო რაზმები, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ჯარების შემადგენლობაში არ შედის.

6) მიღებულ იქნას ზომები, რომ მომავალში არ დაუშვან საქართველოს ტერიტორიაზე იმ ჯარებისა და სამხედრო რაზმების არსებობა, რომელნიც ამა მუხლის მეხუთე პუნქტშია აღნიშნული.

7) იმ პირებს, რომელნიც ამა მუხლის პირველსა და მეხუთე პუნქტში ჩათვლილ ორგანიზაციებს, ჯგუფებსა და ნაწილებს ეკუთვნიან, რამდენათაც ეს პირები თავისი ეროვნებით არ არიან ქართველები, აღეკრძალოს რა სახითაც არ უნდა იყოს, მათ შორის მოხალისეთ საქართველოს სახელმწიფო ჯარში შესვლა.

8) ტერიტორიის იმ საზღვრებში, რომელიც დადგენილია ამა ხელშეკრულების მეოთხე მუხლით, მომავალში არ მისცენ შედგენისა და არსებობის საშუალება რაიმე ორგანიზაციებს და ჯგუფებს, რომელნიც თავის თავს აცხადებენ რუსეთის ან მისი ნაწილის მთავრობის, ანდა რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოს როლში, აგრეთვე არ მისცენ შედგენისა და არსებობის საშუალება წარმომადგენლობებს და თანამდებობის პირთ. ორგანიზაციებს და ჯგუფებს, რომელთაც მიზნათ ექნებათ რუსეთის, ან მასთან კავშირში მყოფ სახელმწიფოთა მთავრობის ჩამოგდება. ამასთანავე, საქართველო ვალად იღებს არ დაუშვას ზემოაღნიშნულ ორგანიზაციების, ჯგუფების, წარმომადგენლობათა და თანამდებობის პირთა მიერ საქართველოს ტერიტორიით გატანა ყველაფერი იმისა, რითაც შეიძლება ისარგებლონ რუსეთზე და მის მოკავშირე სახელმწიფოებზე თავდასასხმელად. აგრეთვე აეკრძალოს თავის ნავთსადგურებსა და წყლებში ამგვარ ორგანიზაციათა გემებისა და სხვა სანაოსნო საშუალებათა არსებობა, გარდა საერთაშორისო სამართლით დადგენილი შემთხვევებისა იმ გემების მიმართ, რომლებიც იღუპებიან და სხვა.

9) იმ შემთხვევაში, თუ ამა მუხლის მერვე პუნქტში აღნიშნულ ორგანიზაციების, ჯგუფებისა, წარმომადგენლობისა და თანამდებობის პირთა მიერ მოხდება მერვე პუნქტში აღნიშნულ აკრძალვათა დარღვევის ცდა, იმ პირებსა და ქონებას, რომელიც საქართველოს მთავრობისაგან მის მიერ ამა მუხლის მერვე პუნქტით თავის თავზე მიღებულ ვალდებულების ძალით იქნება დაკავებული, ამა მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირობის თანახმად მოეპყრობიან.

მუხლი 6.

რუსეთი ვალდებულია არ მისცეს უფლება მის ტერიტორიაზე ყოფნისა და მოქმედების არავითარ ჯგუფსა და ორგანიზაციას, რომელიც საქართველოს მთავრობის, ანუ მის ნაწილის მთავრობის როლს მიითვისებენ, და აგრეთვე იმ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც თავის მიზნათ საქართველოს მთავრობის დამხობა ექნება დასახული. რუსეთი ვალდებულია იქონიოს სავსებით თავისი გავლენა მის მოკავშირე სახელმწიფოებზე, რათა მათს ტერიტორიაზე არ დაუშვან არსებობა ამ მუხლში აღნიშნულ ჯგუფებისა და ორგანიზაციების.

მუხლი 7.

შესაძლო გაუგებრობის ასაცილებლად ორივე ხელშემკვრელი მხარე შეთანხმდა, რომ ამ ხელშეკრულების მეხუთე მუხლის მეხუთე და მეექვსე პუნქტების განხორციელების დროს საქართველოს ნაწილებში, რომლებიც მას უნდა შერერთდნენ ამ ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, როდესაც მეზობელ სახელმწიფოებთან, რუსეთს გარდა, საზღვრები საბოლოოდ დაიდება საქართველოს მხრივ ამ შემთხვევაში საჭირო ზომების მიღება უნდა გათავდეს უახლოეს დროში, მის მიერ ამა თუ იმ ტერიტორიაზე, თვისი სახელმწიფოებრივი მეპატრონეობის ფორმალური განხორციელების შემდეგ.

მუხლი 8.

ამა ხელშეკრულების მუხლების მეხუთე და მეექვსეს სისწორით ასრულებისა და მეხუთე მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირთა და ქონების გადასაცემად არსდება შერეული კომისია ორი მხრიდან თანაბარ წევრთა რიცხვით. კომისიის მუშაობის წესი თვით კომისიის მიერ გამომუშავდება. ამ ხელშეკრულების მეხუთე მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირთა და ქონების გადაცემა უნდა გათავდეს ამ ხელშეკრულების დადების დღიდან ორი თვის განმავლობაში.

მუხლი 9.

1) საქართველოს ჩამომავლობის პირთ, რომელნიც რუსეთის ტერიტორიაზე სცხოვრობენ და დაბადებიდან 18 წლის არიან შეუძლიათ საქართველოს ქვეშევრდომობა მოითხოვონ. აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არა ქართველთ, რომელნიც ზემო აღნიშნულ წლოვანებას მიაღწევენ, უფლება აქვთ რუსეთის ქვეშევრდომობა მოითხოვონ.

2) დაწვრილებითი მხარე ამ მუხლის აღსრულების შესახებ დამტკიცებული იქნება განსაკუთრებულ შეთანხმებით ორივე ხელშემკვრელ მხარეს შორის.

3) ორივე ხელშემკვრელ მხარის მოქალაქენი, რომელთაც სურთ ისარგებლონ ამ მუხლით მინიჭებულ უფლებით, ვალდებულნი იქნებიან აღასრულონ სავალდებულო ფორმალობა ერთი წლის განმავლობაში ამა მუხლის მეორე პუნქტის თანახმად მომხდარ შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან.

მუხლი 10.

საქართველო ვალდებულია გაანთავასუფლოს სასჯელისაგან და აგრეთვე შემდეგში სასამართლო ან ადმინისტრატიული წესით დევნისაგან ყველა პირები, რომლებიც იდევნებოდენ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის ან კომუნისტურ პარტიის საარკვევლო მოქმედებისათვის.

შენიშვნა: საქართველო ვალდებულია დაუყონებლივ გაანთავისუფლოს საპყრობილეთაგან ყველა პირები, რომლებსაც ბრალდებათ ზემო აღნიშნული ხასიათის მოქმედებანი.

მუხლი 11.

ყოველი შემკვრელი მხარე ვალდებულია, იცნოს და პატივით მოეპყრას მხარეთა დროშას და ღერბს, როგორც მეგობარ სახელმწიფოთა ემბლემებს. დროშის და ღერბის ნიშნები ან ცვლილებანი, რომლებიც შესაძლებელია შეტანილი იქნეს შიგ, უნდა აცნობონ ერთმანეთს დიპლომატიური გზით.

მუხლი 12.

ეკონომიური დამოკიდებულებანი საქართველოს და რუსეთს შორის განისაზღვრება დროებით, ორ ხელშემკვრელ მხარეთა შორის განსაკუთრებულ ხელშეკრულების დადებამდე, რისთვისაც უახლოეს დროში უნდა იქნეს მიღებული აუცილებელი ზომები, და რომელსაც უნდა დაედვას საფუძვლად ქვემო მოყვანილი საერთო დებულებანი:

1) ორივე ხელშემკვრელი მხარე ურთიერთ შორის სავაჭრო დამოკიდებულებას საფუძვლად უდებს უდიდეს ხელის შეწყობის პრინციპს.

2) იმ საქონელს, რომელიც მიაქვთ ერთ-ერთ ხელშეკრულ მხარეებიდან დანიშნულებისამებრ მეორე მხარემ არავითარი სატრანზიტო ბაჟი და გადასახადი არ უნდა დააწესოს.

მუხლი 13.

ხსენებულ ხელშეკრულების მე-12-ტე მუხლში აღნიშნული 1 და 2 პუნქტები უნდა დაედოს საფუძვლად სავაჭრო ხელშეკრულებას, რომელიც იმავე მე-12-ტე მუხლის ძალით უნდა დადებულ იქნას ორ ხელშემკვრელ მხარეს შორის.

მუხლი 14.

დიპლომატიური და საკონსულო დამოკიდებულებანი საქართველოს და რუსეთს შორის უნდა აღდგენილ იქნეს უახლოეს დროში. ორ ხელშემკვრელ მხარეთა ურთიერთ შორის კონსულების დამოკიდებულების შესახებ განსაკუთრებულ შეთანხმების დადებამდე, რისთვისაც მიღებული უნდა იქნეს ყოველგვარი ზომა, მათი უფლებანი და ვალდებულებანი განისაზღვრებიან ამავე საგანზე ორ ხელშემკვრელ მხარეს შორის არსებულ კანონმდებლობით.

მუხლი 15.

საჯარო უფლებრივი და კერძო უფლებრივი ხასიათის იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც აღიძრება ორ ხელშემკვრელ მხარის მოქალაქეთა შორის და აგრეთვე ზოგიერთ ცალკე საკითხების მოწესრიგება ორ სახელმწიფოს შორის, დაევალება განსაკუთრებულ შერეულ ქართულ-რუსულ კომისიას, რომელიც დაარსდება უახლოეს დროში ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ.

შემადგენლობა, უფლება და ვალდებულებანი ამ კომისიისა განისაზღვრება განსაკუთრებულ ინსტრუქციით, რომელიც დამტკიცდება ცალკე კომისიისათვის ორ ხელშეკვრელ მხარის შეთანხმებით.

ხსენებულ კომისიებს დაევალება სხვათა შორის:

1) სავაჭრო და სხვა ეკონომიური ხასიათის შეთანხმების შედგენა.

2) მოწესრიგება საკითხებისა, რომელიც შეეხება ყოფილ ცენტრალურ არქივების საქმის საწარმოებელ დაწესებულებათაგან სასამართლო და ადმინისტრატიულ დეპოზიტების და აგრეთვე სამოქალაქო მდგომარეობის აქტების გამოყოფას.

3) გამორკვევა საკითხისა ბათომ-ბაქოს ნავთსადენის იმ ნაწილის მფლობელობის, განკარგულების და მოხმარების წესის შესახებ, რომელიც თანახმად ხსენებულ ხელშეკრულების მე 4 მუხლისა იარსებებს საქართველოს ტერიტორიაზე. ეს საკითხი დამტკიცებული იქნება შემდეგ საბოლოოდ განსაკუთრებულ შეთანხმებით ორ ხელშემკვრელ მხარის შორის.

მუხლი 16.

ხსენებული ხელშეკრულება შევა ძალაში თვით ფაქტის ძალით და ხელის მოწერის მომენტიდან და საჭირო არ იქნება განსაკუთრებული რატიფიკაცია.

რის დასამტკიცებლად ორივე მხარის რწმუნებულებმა მოაწერეს ხელი და თავის ბეჭდები დაასვეს.

შედგენილია მოსკოვში 1920 წელს, შვიდ მაისს, ორ ეგზემპლიარად.

გ. ურატაძე და **ლ. კარახანი.**

—

7 მაისის 1920 წ. რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება

ქვემო ხელის მომწერნი—რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელი, გარეშე საქმეთა კომისარის მოადგილე ლევ მიხეილის ძე კარახანი და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წარმომადგენელი, საქართველოს დამფუძნებელ კრების წევრი გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძე, რომლებმაც მიიღეს მხედველობაში, რომ რუსეთის მთავრობა ქვემო მოხსენებულ მუხლის შინაარსით წინასწარ შეთანხმებით შეეკრა პირობით აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკას, შეთანხმდენ შემდეგში:

მუხლი 1.

საქართველოს აზერბაიჯანის და ზაქათლის ოლქის საზღვრების სადავო საკითხის გადაწყვეტა გადაეცემა შერეულ კომისიას, რომელიც შემდგარი იქნება აზერბეიჯანის და საქართველოს მთავრობების წარმომადგენლებისაგან თანაბარი რიცხვით რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლის თავმჯდომარეობით. ამ კომისიის ყოველი გადაწყვეტილების მიღება **საქართველოს და აზერბეიჯანის მთავრობებისთვის იქნება სავალდებულო.**

მუხლი 2.

საქართველო და აზერბეიჯანი ვიდრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაწყვეტილ საკითხებს არ მიიღებს, რომელიც იყო აღნიშნული 1 მუხლის შეთანხმებაში, ზაქათალის ოლქში არ შეიყვანს ახალ ჯარებს, გარდა იმ ჯარისა, რომელიც იყო ამ დამატებითი შეთანხმების მომენტის დროს.

მუხლი 3.

ეს დამატებითი შეთანხმება ჩაითვლება განუკვეთელ ნაწილად იმ შეთანხმებისა, რომელიც დაიდო საქართველოსა და რუსეთ შორის 7 მაისს 1920 წ. მოსკოვში და აღნიშნულ ხელშეკრულობის თანახმათ შედის ძალაში ფაქტიურად ხელშეკრულების ხელის მოწერის მომენტიდან და არავითარი განსაკუთრებული რაციფიკაცია არ მოხდება. რის დასამოწმებლად ქვემოთ ხელის მომწერთ თავის ხელით მოაწერეს ამ ხელშეკრულებას და დაარტყეს მას თავისი ბეჭდები.

შესრულებულია მოსკოვში ორ ეკზემპლიარად, მაისის 12 ათას ცხრას ოც წელს.

გრ. ურატაძე ლ. კარახანი.

ზავის გარშემო

7 ივნისს ტფილისში ჩამოვიდნენ საქართველოს საზავო დელეგაციის თავმჯდომარე სამხედრო მინისტრი გ. ლორთქიფანიძე და საზავო დელეგაციის წევრები დამფუძნებელ კრების თავმჯდომარეს ამხანაგი სიმონ მდივანი, ადერბეიჯანში მყოფი საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ალშიბაია და გენერალი ანდრონიკოვი. დელეგატები ჩამოვიდენ ტფილისში მოლაპარაკების მსვლელობის შესახებ მოსახსენებლად და მთავრობისაგან საჭირო ინსტრუქციების მისაღებად. 8 ივნისს დელეგაცია ტფილისიდან გაემგზავრება.

საქართველოს დეპეშათა სააგენტოს საუბრის დროს საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ადერბეიჯანში გ. ალშიბაიამ განაცხადა, რომ დროებითი ზავი ადერბეიჯანთან კიდევ სამ დღით გაგრძელდებაო.

ერთა ლიგის ქართულ საზოგადოებაში

ერთა ლიგის ქართულ საზოგადოების თავმჯდომბრემ ა. ს. ლომთათიძემ ერთა ლიგის მეოთხე კონფერენციის თავმჯდომარეს რომში ტელეგრაფით შემდეგი მისალმებით მიმართა: „ერთა ლიგის ქართული საზოგადოება ნიშნავს მეოთხე კონფერენციაზე თავის წარმომადგენლად მ. ჯაყელს. მიიღეთ ჩვენი სალამი. გაუმარჯოს ერთა ლიგას და ინტერნაციონალურ სოლიდარობას“.

ჯაყელის სახელზე გაგზავნილია შემდეგი ტელეგრამა: ერთა ლიგის მეოთხე კონფერენციაზე ერთა ლიგის ქართულ საზოგადოების წარმომადგენლად ინიშნებით თქვენ. გთხოვთ მიიღოთ მონაწილეობა კონფერენციის მუშაობაში. ჩვენი კონსტიტუციის დემოკრატიული პრინციპები ასეთია: სწორუფლებიანობა ერთა და სქესის, ნეიტრალობის პრინციპი, ყველა სადაო საკითხების მშვიდობიანი გადაწყვეტა, რვა საათის სამუშაო დღე, უფასო სამოქალაქო აღზრდა 14 წლამდე, ქალების მონაწილეობა დამფუძნებელ კრებაში ისევე, როგორც მუნიციპალურ და სასამართლოს დაწესებულებებში, ათას კოოპერატივამდე ტ მრავალი სხვა საზოგადოებრივი კულტურული დაწესებულებანი მზათ არიან შეუერთდენ ერთა ლიგას, მაგრამ ჯერჯერობით ხელს უშლის მათ მრავალი მიზეზი. მიუხედავად ამისა, მთელი ორგანიზაციული მუშაობა მალე დასრულდება. გთხოვთ გადასცეთ კონფერენციას ჩვენი მხრით სალამი და სურვილი ნაყოფიერ მუშაობისა.

12 ივნისს საღამოს 7 საათზე ტფილისის ქალაქის თვითმართველობის დარბაზში ალ. ს. ლომთათიძის თავმჯდომარეობით შესდგება ერთა ლიგის ქართულ საზოგადოების სხდომა. სხდომაზე მოსმენილი იქნება შემდეგი მოხსენებანი: 1) აკ. ჩხენკელის, „ერთა ლიგის მნიშვნელობა“, ვ. ჩერქეზიშვილის „ისტორია და განხილვა ლიგის მოქმედებისა“ პ. საყვარელიძის „მუშათა საკითხი და ერთა ლიგა“, ვ. ღამბაშიძის „ერთა ლიგის ქართული საზდგადოება“, გ. გვაზავასი, „საერთაშორისო უფლება და ერთა ლიგა“. (ს. დ. ს).

ტფილისის ქ. თვითმართველობაში

უკანასკნელი დადგენილებანი:

ექიმ კ. მეუნარგიას მოხსენების თანახმად ქალაქის თვითმმართველობამ ქიმიურ ლაბორატორიის საინვენტარო წიგნების შესაძენად ერთდროულად გაიღო 6.000 მან.

— დედობის და ბავშვების დაცვის საზოგადოების გამგეობამ სასურსათო საწყობიდან 20.000 მან. მანუფაქტურა მისცა ომში დაღუპულთა სასარგებლოდ.

— ქალაქის გამგეობის დადგენილებით ქალაქის სასწავლებლებში ყველა ბინის ქირები გადიდებულ იქნება.

უცხოეთი

ეკონომიური კონფერენცია.

5 ივნისს ლონდონში გაიხსნა ეკონომიური კონფერენცია. ამ კონფერენციაში მონაწილეობას იღებს საბჭოთა რუსეთის რწმუნებული კრასინი.

ოსმალეთი.

კონსტანტინოპოლის უმაღლესმა სასამართლომ ოსმალეთის ნაციონალისტებს მიუსაჯა სიკვდილით დასჯა და ქონების სრული კონფისკაცია.

ვილსონი და მოკავშირენი.

როგორც პარიზიდან იტყობინებიან პრეზიდენტ ვილსონს სურს სან-რემოს კონფერენციაზე გადაწყვეტილი საკითხების გადახედვა.

ახმედ ანზაურის დამარცხება.

დარდანელთან ახმედ ანზაურ ფაშის ჯარის ნაწილებს შეტაკება მოუხდათ ჩერქეზელების რაზმთან. ჩერქეზელებმა ახმედ ანზაურის ჯარი დაამარცხეს და თითონ ახმედ ანზაური კი დასჭრეს.

ჩერჩილი ბათომის შესახებ.

გაზეთ „ტანის“-ს გადმოცემით, ინგლისის სამხედრო მინისტრს თემთა პალატაში უთქვამთ, რომ ბრიტანეთის ჯარები რჩება ბათომში მოკავშირეთა პოლიტიკის მიხედვით. არავითარი სურვილი არ გვაქვს, რომ ბათომში ინგლისმა აგრესიული ზომები მიიღოს.

ბელგია.

ბელგიის სენატმა მიიღო ახალი კანონი ადგილობრივ თვითმართველობის შესახებ. ამ კანონის ძალით არჩევნებში ქალები თანასწორ დებიან მამაკაცებთან, როგორც სწორუფლებიანნი.

იტალია და ავსტრია.

რომში მოხდა შეთანხმება იტალია-ავსტრიის შორის. ამ შეთანხმების თანახმად იტალიამ ავსტრიას უნდა მისცეს 20 ათასი ტონი ფქვილი და ხორბალი.

სამხრეთ სლავიაში.

სამხრეთ სლავიაში ეკონომიურ ცხოვრების გასაუმჯობესებლად გახსნილია რამდენიმე ახალი ქარხნები შემდეგ ქალაქებში: კარლოკიცში, სამბორაში, მასტარში, სარაევში.

უკრაინა.

უკრაინაში ბალშევიკების მმართველობის დროს დანგრეულია ყველა სიონისტური ორგანიზაციები. სიონისტთა მოღვაწენი დაპატიმრებულნი არიან.

ერობა

ტფილისის მაზრის ერობაში. ხაშმის ნათლიხ-შცემლის სამონასტრო მამული.

სოფ. ხაშმში მდებარე სამონასტრო მამული ჩამოერთვას ხაშმის საზოგადოებას და გადაეცეს სამაზრო ერობას. ერობამ უკვე დანიშნა მამულების მიმღები კომისია, რომელშიაც შევლენ გამგეობიდან ა. ავალიშვილი, ერთი ტეხნიკოსი, თემის წარმომადგენელ და აგრონომი კურდვინსკი. ამგვარად დაუკმაყოფილებულ იქნა საკათალიკოსო საბჭოს თხოვნა ხსენებული მამულის მის განკარგულებაში გადაცემის შესახებ.

ჯეჯილის შეძენა.

ტფილის სამაზრო ერობის გამგეობა აღბულაღის თემის თავმჯდომარე თაბუკაშვილის განცხადების თანახმად იძენს თრაგის, ჯიგრაშენის და წინყაროს ჯეჯილს (ნათესს), რომელსაც ბერძნები სტოვებენ გადასახლების გამო. ამ საქმის მოსაწესრიგებლად სასურსათო განყოფილების განკარგულებაში გადაიდო ნახევარი მილიონი (500,000) მან.

საგარეჯოს გზის და ხევის შეკეთება.

ერობამ ყოველგვარი ზომები მიიღო, რომ საგარეჯოს გზა და ხევი შეეკეთებინა, მაგრამ ეს დღემდე ვერ შესძლო ადგილობრივ თემის უმოქმედობის გამო. უკანასკნელად გამგეობამ ენერგიული ზომები მიიღო ამ საქმის მოსაგვარებლად.

კოდა—აღბულახის ხიდი.

სამაზრო ერობის გამგეობამ დაავალა თავმჯდომარეს, რათა მან აღძრას შუამდგომლობა გზათა დეპარტამენტის წინაშე, რომ კოდა-აღბულახის სამ დანგრეულ ხიდების აღსადგენად გადასდოს 180.000 მანეთი.

ახალი ამბები

მთავრობის თავმჯდომარის დაბრუნება. 7 ივნისს, დილით ლანჩხუთიდან ტფილისში დაბრუნდა და შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას მთავრობის თავმჯდომარე ნ. ნ. ჟორდანია.

მთავარი შტაბის სამხედრო ცნობით, ხულოს მიმართულებით მზვერავთა მოქმედებაა. სხვა მიმართულებით სიწყნარეა.

საქართველოს და პოლონეთის სავაჭრო დამოკიდებულება. ტფილისში არსდება საექსპორტო საზოგადოება საქართველოსა და პოლონეთს შორის სავაჭრო დამოკიდებულებისა და საქონლის გაცვლა-გამოცვლის მოსაწყობად. ვარშავიდან მოელიან სავაჭრო-სამრეწველოების წარმომადგენლებს. სავაჭრო წრეებში აღნიშნავენ იმას, რომ ეხლა პოლონეთში საქართველოსათვის უკვე შეძენილია სხვა და სხვნ საქონელი, მაგრამ მათი გადმოტანა უახლოესი, რუმინეთის გზით შეუძლებელია, ამიტომ პოლონეთის საქონელი საქართველოში შემოტანილი იქნება დანციგით, საზღვაო ირგვლივი გზით.

ნახშირი. მომარაგების სამინისტროს ცნობით აპრილში ტყიბულის ნახშირის მაღაროებში მოუთხრიათ 344.790 ფუთი ნახშირი, მათ შორის ძველ მაღაროებში 178.830 ფუთი და ახალში 165.960 ფუთი. ამავე ხნის განმავლობაში გაიტანეს 340.781 ფუთი. 1 მაისს ნაშთი 522.040 ფუთს უდრიდა, მათ შორის ძველ მაღაროებში 203.597 და ახალში 318.443 ფუთს.

ლიტერატურული ცხოვრება. საქართველოში ჩამოვიდა საფრანგეთის ცნობილი მწერალი ქალი ოდეტტა კოიენი. მწერალს განზრახული აქვს დასწეროს წიგნი საქართველოს შესახებ, რომელიც შესდგება ორი ნაწილისაგან: ძველი და უახლოესი საქართველო. ამ ჟამად საფრანგეთის პოპულიარული მწერალი ქალი აბასთუმანში გაემგზავრა.

სახოფლო-სამეურნეო კურსები. მიწათ-მოქმედების სამინისტროს უმაღლეს სას.-სამ. კურსების ლექტორთა საბჭომ 2 ივნისის სხდომაზე 1 და 2 სემესტრის მსმენელთათვის სავალდებულო საგნები დაამტკიცა. სხვა სავალდებულო საგანთა შორის არის კოოპერაცია, მებაღეობა და მესაქონლეობა, ამას გარდა სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა, სასოფლო-სამეურნეო ანგარიშის წარმოება, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, სასოფლო-სამეურნეო ეკონომია პოლიტიკურ ეკონომიასთან ერთად, სამკურნალო და ტეხნიკურ მცენარეულობის კულტურა და სხვა. არა სავალდებულო საგანთა რიცხვში იმყოფება ს.-მ. და ტყის ენციკლოპედია, კავკასიის სამრეწველო გეოგრაფია, სამართლის ცოდნა, საზოგადოებრივი აგრონომია, წყლის ამხანაგობანი, სამელიორაციო კრედიტები და სხ.

მეცადინეობა ქალაქის დაწესებულებებში. ქალაქის თვითმართველობასა და ქალაქის მილიციის სამმართველოში და ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში მეცადინეობა შემოიღეს ზაფხულის დროით ე. ი. დილის 8 საათიდან დღის 2 საათამდე.

სახოფლო მილიციის მოწყობა. შინაგან საქმეთა სამინისტრო საადმინისტრაციო განყოფილება საჩქაროდ იმუშავებს სასოფლო მილიციის შტატს აფხაზეთის ოლქისათვის.

ტფილისის მილიციის შტატი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დამფუძნებელ კრებაში შეიტანა, დასამტკიცებლად ტფილისის, და აგრეთვე რესპუბლიკის სხვა ქალაქების მილიციის შტატის პროექტი.

სამობილიზაციო კომისია. ტფილისის ამაზრო ერობამ დაარსა სპეციალური კომისია გამოცხადებულ ცხენების მობილიზაციის ცხოვრებაში გასატარებლად. ამ კომისიას დავალებული აქვს განიხილოს ყველა სადავო საკითხი. ტფილისის მაზრა დაყოფილია შემდეგ სამობილიზაციო რაიონებათ: ყარაიაზის, გარე კახეთის, აღბულაღ-ასურეთის და მანგლისის. ყოველ რაიონისათვის დანიშნულია ცალკე კომისია.

საფოსტო დამოკიდებულება მანგლისთან. ტფილისის ერობამ დაადგინა მოაწყოს ტფილის-მანგლისის შარა გზით საფოსტო დამოკიდებულება.

პოეტი ჩხიკვაძის გარდაცვალების გამო. ტფილისის ერობამ დაადგინა გამოუცხადოს ულრმესი თანაგრძნობა გარდაცვალებულ პოეტ ნოე ჩხიკვაძის ოჯახობას.

ჯარისკაცთ გაწვეულთა ჯამაგირების მიცემა. ტფილისის სამაზრო ერობამ დაადგინა მიეცეს ჯამაგირი ერთი თვის წინეთ ყველა მობილიზაციის წესით მოწვეულ სამაზრო ერობის მოსამსახურეებს.

საბაჟო გადასახადი. ფინანსთა სინისტროში განხილულ იქნა საკითხი საბაჟო გადასახადის პერიოდულათ გადიდების შესახებ, განსაკუთრებულ კოეფიციენტის დაწესებით, რომელზედაც უნდა გამრავლდეს ყველა საბაჟო გადასახადი. ამ მიზნით აპირობდენ სახელმწიფო შემოსავალი ნაწილის დაფარვას. საბაჟო შემოსავლით ამავე შედეგის მიღწევა შეიძლება საბაჟო ტარიფების პერიოდულათ და უფრო ხშირი გადათვალიერებით სახელდობრ წელიწადში არა უმატეს 4-ისა. ფინანსთა სამინისტრო შეჩერდა მეოთხე ზომაზე, რომელიც იძლევა არა მარტო საშუალებას საბაჟო გადასახადის სტაბილიზაციის მისაღწევად, არამედ აღნიშნავს საბაჟო გადასახადის რაოდენობაში იმ ცვლილებებს, რომელიც ხდება ეკონომიურ სავაჭრო პოლიტიკის მოსაზრებებით.

ელექტრონის ლამფების ქარხანა. კაპიტალისტთა ჯგუფის წარმომადგენლებმა წინადადებით მიმართეს ფინანსთა სამინისტროს, მოაწყოს საქართველოში ქარხანა ელექტრონის ლამფების დასამზადებლათ იმ პირობით, რომ ამ საქმეში მიიღოს მონაწილეობა თვით მთავრობამ, ფულით დახმარების მიცემით, რომელიც განისაზღვრება 25%, კაპიტალის დანარჩენ ნაწილს დაფარავს თვით მწარმოებლები. თუ მთავრობა არ მოისურვებს მიიღოს მონაწილეობა წარმოების ფინანსიურ მხარეში, ამ შემთხვევაშიც კაპიტალისტთა ჯგუფი დათანხმდება წარმოების მოწყობას, თუ მას მიეცემა უფლება გაიტანოს საზღვარ-გარეთ სავალიუტო საქონელი, რომ სამაგიეროთ შეძლება ექნეთ შემოიტანონ საზღვარ-გარეთიდან სხვა და სხვა მასალები და მანქანები. ტეხნიკური კომიტეტი გაეცნო რა ასეთ წინადადებას იცნო სასურველად მოეწყოს საქართველოში მინის წარმოება, რომელსაც შეძლება ექნება მიაწოდოს ქარხანას საჭირო მასალა და ამ რიგად მისცემდა მას საშუალებას თეთრი მინის და სხვა საქონლის წარმოების გაფართოებისას. პირველ ხანებში, ხუთი წლის განმავლობაში, შესაძლებელად სცნეს მოიტანონ საზღვარ-გარეთიდან მინისათვის საჭირო ნედლი მასალა. ამასთან ერთად სასურველად სცნეს ახალ ლამფების წარმოებასთან ერთად მოეწყოს ძველების შეკეთებაც. ქარხანის მოსაწყობი სმეტა შედგენილია და უდრის 20 მილიონ მანეთს. ასეთი ქარხნით შესაძლებელია წელიწადში 300,000 ლამფის გაკეთეთება. ტეხნიკურ კომიტეტის წინადადებანი წარმოების ჯგუფის წარმომადგენლებმა მისაღებად სცნეს.

ტყის ხიმდიდრის ექსპლოატაცია. ტფილისის სამაზრო ერობამ მიმართა მიწათ-მოქმედების სამინისტროს შუამდგომლობით, რათა გადაეცეს მას იჯარის საფუძველზე საგარეჯოს რაიონში არსებული ტყეები.

სახოფლო-სამეურნეო განათლება. მიწათ-მოქმედების სამინისტრომ შეიმუშავა ორთვიან ვადის დებულების პროექტი, სადაც შეისწავლიან რძის მეურნეობას, მესაქონლეობას და საქონლის გამოკვების საკითხებს. პროექტის თანახმად დროებითი კურსები მოეწყობა 20 ივნისიდან 20 აგვისტომდე. კურსების მიზანია მესაქონლეობის და რძის მეურნეობის განვითარებისათვის ინსტრუქტორების და ტეხნიკების მომზადება და წვრილ მესაკუთრეთა კადრის შექმნა, რომელსაც შეგნებულად იმუშავებენ თავის მამულებში. მსმენელები მიიღებენ საფუძვლიან ცნობებს რძის მეურნეობისა მესაქონლეობის დარგში. გარდა ამისა მიიღებენ მცირე ცნობებს ვეტერინარიაში. კურსებზე მიიღებიან მსმენელებად ორივე სქესის პირები არა ნაკლებ 16 წლისა, საერთო განათლებით აღჭურვილნი, სახელდობრ 3—4 კლასიანები. სწავლა კურსებზე უფასოა. მსმენელებს და მასწავლებლებს მიეცემათ მოწყობილი ბინები.

სახელმწიფო გადასახადების შემოსავლა. წინასწარი საკასო ცნობებით, რომელნიც მიიღო ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკის 13 ხაზინიდან, ქუთაისის ხაზინიდან ცნობები არ არის მიღებული, სახელმწიფო გადასახადების სახით შემოსულია 37,845,120 მან. ამ ჯამიდან საბაღო შემოსავალი უდრის 4,337,474 მან. წინა თვის პირველ ნახევართან შედარებით (1 აპრილის პირველ ნახევარში 14 ხაზინიდან შემოვიდა 34,278,763 მან.) გადასახადის შემოსავალმა მოიმატა 3,566,357 მანეთი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ქუთაისის ხაზინას, სადაც ფიქრობენ, რომ მაისის პირველ ნახევარში გადასახადების სახით შემოვიდოდა 1,5 მილიონი მან.

ფულის ბრუნვის რეფორმა. კომისიაში, რომელიც იხილავს ფულის ბრუნვის რეფორმას, სხვათა შორის განხილული იქნება

შემდეგი საკითხები: ეროვნულ ქართულ ბონების კურსის ხელის შეწყობა, საქონლის გაცვლა-გამოცვლისათვის ვალიუტის შექმნა, კრედიტის ნორმალურ პირობების აღდგენა და სხვა. გარდა ამისა კომისიამ უნდა განიხილოს რიგი საბიუჯეტო ხასიათის საკითხებისა.

→ სავალიუტო ბაზარზე. ფინანსიური და სავაჭრო წრეები დაინტერესებულნი არიან საფონდო ბირჟის გახსნის საკითხით. ხელმძღვანელ ფინანსიურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ტფილისის სავალიუტო ბაზარი არ ხელმჭღვანელობს ვალიუტის ნამდვილ ღირებულებით. არსებითად ვალიუტის ფასი ისაზღვრება არა საერთაშორისო ბაზრის ვალიუტის მდგომარეობით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნილებით. ეს ქმნის არასასურველ ატმოსფერას და ნიადაგს ღირებულებათა ფასის აწევის და დაწევისათვის. რაც უფრო მალე გაიხსნება საფონდო ბირჟა, მით უფრო მალე მოწესრიგდება სავალიუტო საქმე, ვინაიდან თვით ბირჟა დააწესებს ამ შემთხვევაში ღირებულებათა კურს, კურსის შესახებ იმ, ცნობების მიხედვით, რომელსაც მიიღებს იგი რადიოტელეგრაფით ევროპის ბირჟებიდან. ბირჟის ოპერაციები დაკავშირებული იქნება თავის მხრით სახელმწიფო ბანკთან, რომელიც ხელს შეუწყობს ღირებულებათა კურსის სიმტკიცეს.

→ პოლონეთის ჯარი. ტფილისის პოლონურ წრეებში მიღებულია ცნობები, რომ პოლონეთის ჯარის რაოდენობა ამ ჟამად აღწევს 800,000 კაცამდე. ამ ჯარის ნაწილი მოთავსებულია გერმანეთის საზღვარზე და აგრეთვე იცავს პოლონეთის სხვა და სხვა ქალაქებს. პოლონეთის ჯარის რიცხვი რუსეთის საზღვარზე უდრის ნახევარ მილიონს. სხვათა შორის ამავე წრეებში იტყობინებიან, რომ პოლონეთ-ბოლშევიკების ომს აქვს განსაკუთრებით საველე სამანევრო ხასიათი. ასეთ შემთხვევაში დიდ მნიშვნელობას ღებულობს ცხენოსან ჯარის მოქმედება, რასაც უეჭველია ორივე მხარე აქცევს ყურადღებას.

→ ფრანგები ბათომში. მაისის დასასრულს ბათომში დაიწყეს მოსვლა ფრანგების ჯარებმა. პირველად გადმოსხეს ზუავების ნაწილი, 30 მაისს კი გამოჩნდა ტერიტორიალური ჯარები. საფრანგეთის ნაწილები იცავენ ნავთსადგურს და ინგლისის საწყობების ნაწილს. ინგლისის ჯარის ნაწილი გადავიდა ქობულეთში,

→ კავკავში. (საკ. კორ.) მაისის უკანასკ. ნელ რიცხვებში მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენლების მიერ გამოცხადებულია ყოფილ ოფიცრების და სამხედრო მოსამსახურეების რეგისტრაცია. რეგისტრაციაზე გამოცხადებულთ ანაწილებდენ იმის და მიხედვით თუ ვინ რა სამსახურში იმყოფებოდა წინეთ. მოხალისე ჯარის ოფიცრებს იჭერდენ და გზავნიდნენ დონის ხეობაში სავალდებულო სამუშაოზე. წითელ არმიაში მხოლოდ იმ ოფიცრებს იღებდენ, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდათ მოხალისეთა ჯართან.

ვლადიკავკავში გადაჯგუფებული მე-10 სასჭოთა არმია გაიგზავნა პოლონეთის ფრონტზე. კავკავში ამ ჟამად მოთავსებულია მერვე არმია.

საკურორტო საქმის განვითარება

4 ივნისს მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან შესდგა კრება. კომისიისა, რომელსაც მიზნათ აქვს მოაწყოს სანატორიები საქართველოს საკურორტო ადგილებში. თავმჯდომარეობდა გ. ვ. ჩურსინი, პირველად ყოვლისა კომისიამ დეტალურად განიხილა საკითხი ბორჯომის ერთ-ერთ სასახლეში სანატორიუმის მოწყობის შესახებ. გამოირკვა, რომ ერთად ერთი რაც აბრკოლებს ამ საქმეს ეს ის არის. რომ სასახლის ზემო სართული ამ ჟამად დაკავებულია ტყის მუზეუმით. სანამ არ გადაწყდება საკითხი მუზეუმის გადატანისა, კომისია ფიქრობს მუზეუმის ყველა კოლექციის ოთხ ოთახში მოთავსებას და მის მნახველთათვის დროებით დახურვას. ამ რიგად შესაძლებელი გახდება სანატორიუმისათვის 17 ოთახის გამოყენება. გარდა ამისა აუცილებელია კანალიზაციის მოწყობა, ელექტრონულ განათების გაყვანა და სხ. კომისიამ გადასწყვიტა, რომ გასავალის და აუცილებელ ინვენტარის გამოსარკვევად შეასრულოს ეს მუშაობა ტეხნიკურ ძალთა დახმარებით.

შემდეგ კომისიამ განიხილა ცემში ექიმ ღამბაშიძის ბავშვთა სანატორიუმის აღდგენის შესაძლებლობის საკითხი. ექიმმა ღამბაშიძემ გააცნო კომისიას სანატორიუმის მდგომარეობა, რომელიც 1918 წლის დანგრევის შემდეგ აღარ მოქმედებს. რკინის გზათა სამართველომ აღძრა შუამდგომლობა, რათა გადაეცეს მას მიმდინარე სეზონში სანატორიუმის ერთ-ერთი პავილიონი 50—60 მოსწავლე ბავშვის მოსათავსებლად. გარდა ამ პავილიონისა არსებობს სხვა პავილიონიც 30 ბავშვისათვის ან 20 მოზარდთათვის, საერთოდ შესაძლებელია ავათმყოფთა რიცხვი 60-მდე ავიდეს, რისთვისაც საჭიროა პატარა ხის სახლის მოწყობა. გარდა ამისა საჭიროა ინვენტარის შეძენა და შეკეთების მოხდენა. კომისიამ გამოსთქვა სურვილი, რათა ექიმ ღამბაშიძის სანატორიუმი, რომელიც დაარსებულია ერთ უმშვენიერეს ადგილზე, ხელ ახლა იქნეს გახსნილი ბავშთათვის. ამიტომ კომისიამ სთხოვა ღამბაშიძეს სანატორიუმის მოსაწყობად დაწვრილებითი სმეტის შედგენა. კომისიამ საჭიროდ დაინახა აგრეთვე მიმართოს თხოვნით მოწათ-მოქმედების მინისტრს, შეძლების დაგვარად იქნეს გამონახული საშუალებანი, რათა ექიმ ღამბაშიძეს მიეცეს აუცილებელი სუბსიდია სანატორიუმის მოსაწყობად. სანატორიუმისათვის საჭირო ინვენტარის მიცემა კი დროებითი მოსახმარებლად შეუძლია რომელიმე ორგანიზაციას, მაგალითად წითელი ჯვრის დამაგვარს ან მომარაგების კომიტეტს.

კომისიის აზრით მესამე საუკეთესო ადგილად სანატორიუმის მოსაწყობად ჩაითვლება აბასთუმანი, ვინაიდან ეს პუნქტი თავის კეთილმყოფელ ჰავის გამო იზიდავს ბევრ ფილტვებით ავათმყოფს. სანატორიუმისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ტუბერკულოსთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოების მიერ არაზინდს მიდამოებში მოწყობილი შენობა ან და სხვა რომელიმე შენობა. ბინის გამოსარკვევად და აგრეთვე ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენათ კომისია უნდა გაემგზავროს აბასთუმანში, რათა ადგილობრივად გადასწყვიტოს ყველა სანატორიუმის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხი.

კომისიამ დაადგინა სთხოვოს ექიმ ღამბაშიძეს კომისიაში შესვლა. დასასრულ, გადაწყვეტილია ეთხოოვოს მიწათ-მოქმედების მინისტრს მიეცეს კომისიას მგზავრობისათვის საჭირო თანხა.

კომისიის ყველა დადგენილება დამტკიცებულია მიწათ-მოქმედების მინისტრის მიერ ხუთ ივნისს. (ს. დ. ს.).

აზერბეიჯანის ფრონტზე

აზერბაიჯანის ფრონტიდან დაბრუნებულმა, ტფ. პროფ. კავშირების თავმჯდომარე ალფეზ ხელაძემ საქ. დეპეშათა სააგენტოს ბანამშრომელთან საუბარში განაცხადა, რომ მან, როგორც დელეგაციის თავმჯდომარემ, ფრონტზე საქართველოს სახელოვან დამცველთ ტფილისის პროლეტარიატის სახელით მიუტანა ერთი ვაგონი სხვა და სხვა საჩუქრები, რომელთა ღირებულებაც $3^1/_2$ მილიონ მანეთს უდრიდა. დანიშნულ რკ. გზის სადგურზე მისვლის შემდეგ, საჩუქრები ვაგონიდან გადმოიღეს და ურმებით წითელ ხიდთან მიიტანეს. აქედან საველე შტაბმა ტელეფონით შეატყობინა ყველა ნაწილს, რომლებმაც საჩურჭრების მისაღებად დაუყონებლივ გამოგზავნეს თავისი წარმომადგენლები. ხელაძემ ინახულა მოწინავე პოზიციები, სადაც მას როგორც ტფილისის დემოკრატიის წარმომადგენელს აღფრთოვანებით ეგებებოდენ. მებრძოლნი ძალიან მედგრათ არიან. სულიერი განწყობილება დაწყნარებული, ნათელი და რწმენით სავსეა. სახალხო გვარდიისა და ჯარის ყველა ნაწილი მზათ არის თავის სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოლოს და ითხოვს შეატყობინონ მთავრობასა და დემოკრატიის მოწინავე ორგანიზაციებს, რომ ისინი მზათ არიან სამშობლოს შესწირონ თავისი სიცოცხლე.

ეხლა, დროებითი ზავის გამოცხადების გამო, მებრძოლ მხარეთა შორის არის ნეიტრალური ზონა, რომელსაც ერთი და მეორე მხრიდან იცავს ას-ას კაცისაგან შემდგარი რაზმი: ერთი მხრით საქართველოს სახალხო გვარდიელებისა და მეორე მხრით წითელარმიელებისა. წითელ არმიელთა შორის თათრები არ არიან. რაზმი უმთავრესად რუსებისა და სომხებისაგან შესდგება. წითელ არმიელებს ცუდათ აცვიათ. ბევრ მათგანს გაუწმენდელი თოფი აქვს. წითელ არმიელებში ქართველების წინააღმდეგ არავითარი გაბრაზება არ მოსჩანს. ქართველი მეომრები ძმურათ უყოფენ თავის საჭმელს მათ მშიერ მოწინააღმდეგეებს. ხელაძის სიტყვით წითელ არმიელებზე დიდი გავლენა მოუხდენია იმ მდიდარ საჩუქრებს, რომელიც ტფილისის პროლეტარიატის სახელით ჩვენებს მიუტანეს. სხვათა შორის ხელაძემ ხაზი გაუსვა წითელ არმიელთა სიტყვებს, რომელნიც ამბობენ, რომ ისინი საქართველოს წინააღმდეგ მოდიოდენ დამონავებულ მუშების გასანთავისუფლებლად, მაგრამ ეხლა ისინი დარწმუნდენ, რომ ხალხი და ჯარი მთავრობის მომხრეა და რომ რესპუბლიკაში დაჩაგრული არვინ არის. საერთოდ მათ, თუ არა სურთ ომი, პირიქით, ისინი ეხლა ომის ვერაფერ მიზეზს ვერ უცქერიან, განსაკუთრებით საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის ზავის შეკვრის შემდეგ. ხელაძემ მიიღო ზომები იმისათვის, რომ მოტანილი საჩუქრის ნაწილი წითელი არმიელებისთვისაც გადაეცათ.

განცხადებანი

აუქციონი

ხუთშაბათს, 10 ივლისს, დილის 9 საათზე სამხედრო სამინისტროს სტამბის ეზოში გაიყიდება აუქციონით 60 ფუთამდე ნაწერი ქაღალდი. 1378 1—1

ქოდალოს უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ კაკაბეთში მცხოვრებ მიხეილ ალექსანდრეს ძე მირველიანცის მემკვიდრეთ; რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება განსვენებულის ქონებაზე მე-10 ტ, 1 ნაწ. 1241 მან. მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1207 2—1

დაიკარგა ვადა გასული პასპორტი № 19914 სამსონ დავითის ძე ბახტაძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1349 3—2

დაიკარგა მოწმობა, მიღებული ტფ. ქალაქ. მილიციის უფროსისგან სიმონ ალექსანდრეს ძე ტერ-მკრტიჩიანცის სახელზე № 21069. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1265 3—2

7 აპრილს ა. წ. დაიკარგა პასპორტი, მოცემული მარნის საერობო სამმართველოდან № 124 13 ეკენისთვიდან 1919 წ. გარსევან ქაიხოსროს ძე თელიას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 595 3—2

დაიკარგა მოწმობა, მიცემული თბილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტიდან, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის მიქაბერიძის სახელზედ. 1255 3—2

ვერა ავაქას ასული სტურუა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ფულით დახმარების წიგნაკი № 6, მიცემული ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან. 1259 3—2

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი იაკოფ ანდრიას ძე ნიკოლაევის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 16 აპრილს 1909 წ. რეესტრით № № 923. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1351 3—2

ქ. თფილ. მე-3 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ირინე ივანეს ასულის ლობანკოვას მემკვიდრეებს რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ლობანკოვის ქონებაზე სამოქ. კან. კრებ. მე 1241 მუხლ. ძალით დადგენილ ვადაში. 1—1138—1

დაიკარგა პასპორტი № 2831, როზალი განსის ასული სიდერმანის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1256 3—2

დაიკარგა პასპორტი რასტისლავ რასტისლავის ძე რაინბოტის სახელზე, მიღებული სმოლენის პოლიციის სამმართველოდან 1911 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1258 3—2

დაიკარგა პასპორტი სიმონ არიუტინის ძე დანელიანცის სახელზე მიღებული ქალ. შუშიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1313 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი ვახტანგის ქუჩაზე № 14 მდებარე სახლისა, რომელიც ეკუთვნის ტერ-გუკასოვს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1332 3—3

დაიკარგა პასპორტი № 413 ევდოკია ნიკოლოზის ასული დავიდოვას სახელზე, მიღებული ლოქგოლოვის საოლქო სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1193 3—3

სილიბისტრო სოლომონია აცხადებს, რომ მან დაკარგა მოწმობები მიცემული ნოსირის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდლის მიერ და პირადობის მოწმობები მე-12 უბნის მილიციის უფროსის და ნოსირის სოფლის ყოფილი კომისრის მიერ. მოწმობები გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს 597 3—1

დაიკარგა ტფ. პოლიტეხნიკუმის ბარათი სამუელ შეინმანის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს 1319 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული ქუთაისის მაზრის ნახახულევის თემის სოფ. კონტუათის სამმართველოდან, სამსონ ივანეს ძე ჩარგეიშვილის სახელზე № 636. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 594 3—3

დაიკარგა პასპორტი № 359 ლევან მნაცაკანოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1306 3—3

დაიკარგა პარტიული წიგნაკი № 1337, პასპორტი, მიღებული სოფ. დიდ გომარეთის სამმართველოდან და მოწმობა, № 1820, მიღებული მომარაგების კომიტეტიდან. საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1316 3—3

დაიკარგა პასპორტი ნიკიფორე მამუკას ძე მეტრეველის სახელზე, მიღებული ჯაშკვის საზოგადოებიდან (რაჭა). გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1256 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი მადათოვის კუნძულზე № 29 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ამბარცუმ გეორგიზოვს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1293 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი ორთაჭალის კუნძულზე მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ასლამაზოვს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1294 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი ორთაჭალის კუნძულზე მდებარე სახლისა, რომელიც ეკუთვნის თამამშევს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1295 3—3

დაიკარგა პასპორტი ანა გიორგის ასული ქორიძის სახელზე, მიღებული ტფ. ქალ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1300 3—3

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა გაცემული ტფილისის ვაჟთა მე-VI გიმნაზიის მიერ 1916 წლ. № 800. არამ მინასის ძე ნარნიანცის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1329 3-3

დაიკარგა ტფ. პირველ კერძო ლომბარდის ბარათი № 88059 300 მანეთის. გაუქმებულათ ჩაითვალოს 1314 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი რეიტრის ქუჩაზე, № 75, მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ნინო იაშვილს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1283 3—3

დაიკარგა ფეთხაინის ქუჩაზე, № 17, მდებარე მუსა ბაგიროვის სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1302 3—3

დაიკარგა პასპორტი სპირდონ უფლის ძე წიგნაძის სახელზე, მიღებული ქორეთის საზოგადოებიდან (შორაპნის მაზრა). გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1304 3—3

დაიკარგა თელავის ქუჩაზე, № 52, მდებარე ავეტიქ მათუზოვის სახლის დავთარი, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1308 3-3

დაიკარგა პასპორტი ტიგრან ინჯიკიანცის სახელზე, მიღებული ახალ-ქალაქის პოლიციის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1312 3—3

დაიკარგა სოხუმის ორ-წლიანი სამასწავლებლო კურსების დამთავრების მოწმობა დავით ქუთაისის ძე ფონიას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 596 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიცემული სილნაღ. მაზ. სოფ. კაჭრეთის სამმართველოდან ალექსანდრე ყარამანის ძე ლაზაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1257 3—3

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გიორგოლ მაჭავარიანი.